**სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

**საარჩევნო კომისია**

თსსუ -ის ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის

2024 წლის 2 მაისის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 2 მაისი 2024 წელი

არჩევნები ჩატარდა ქ. თბილისში, ვაჟა–ფშაველას გამზ. N33. თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის, პირველ სართულზე არსებულ „საკონფერენციო დარბაზში N1" სადაც განთავსდა საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა.

არჩევნები გაიმართა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (დამტკიცებულია თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადგენილებით) მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა ...09:00... საათზე. კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრა დაიწყო ...09:00... საათზე.

კენჭისყრის დაწყებამდე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა ...16:00... საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილი 52 წევრიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა ...46... პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის ...88,5... %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა ----46----

დალი ბერაშვილი 45

ბათილად იქნა ცნობილი ...1... ბიულეტენი.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

ჩატარებულად ჩაითვალოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები

1. **თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დალი ბერაშვილი.**

| | | |
|---|---|---|
| საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე | ნ. თევზაძე | |
| კომისიის მდივანი | ლ.ზიბზიბაძე | |
| კომისიის წევრები: | ს. ბერია | |
| | ვ. ბეროშვილი | |
| | ა. ნიშნიანიძე | |

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია